მუსიკისა და საშემსრულებლო ხელოვნების უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოს

სხდომის ოქმი N13

თბილისი, 27 მარტი, 2023

მუსიკისა და საშემსრულებლო ხელოვნების უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოს (შემდგომში - საბჭო) სხდომას ესწრებოდნენ:

საბჭოსწევრები:

1. **ნანა შარიქაძე** ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, სსიპ თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის რექტორი, ასოცირებული პროფესორი - **საბჭოს თავმჯდომარე;**
2. **ნანა ვალიშვილი** - სსიპ ანზორ ერქომაიშვილის სახელობის ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ხალხური მუსიკის მიმართულების ხელმძღვანელი; ეთნომუსიკოლოგი, მომღერალი, ლოტბარი, მგალობელ-რეგენტი, პედაგოგი, ექსპერტი სამუსიკოფო ლკლორის დარგში; ღირსების ორდენის კავალერი - **საბჭოს მდივანი;**
3. **მარინა ქავთარაძე** - ხელოვნებათმცოდნეობისდოქტორი, სსიპ თბილისის ვ.სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორი, მუსიკის ისტორიის მიმართულების ხელმძღვანელი - **საბჭოს წევრი;**
4. **ნინო ბაქრაძე** - მუსიკის დოქტორი, სსიპ თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის კამერული ანსამბლის და კვარტეტის კათედრის ასოცირებული პროფესორი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი - **საბჭოს წევრი;**
5. **რუსუდან ლორთქიფანიძე -** სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი - **საბჭოს წევრი;**
6. **ტატიანა ჯავახიშვილი** - სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი - **საბჭოს წევრი;**
7. **ხათუნა მანაგაძე** - ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის მუსიკის ფაკულტეტის სრული პროფესორი, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი - **საბჭოს წევრი;**
8. **მარინა ადამია** - კომპოზიციის დოქტორი, სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, კომპოზიტორი, მუსიკის ცენტრის დირექტორი - **საბჭოს წევრი;**
9. **გულნარა ნიკოლაძე** - სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის სამუსიკო სემინარიის დირექტორი - **საბჭოს წევრი;**
10. **ქეთევან მანელიშვილი** - სსიპ ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრის დირექტორის მოადგილე შემოქმედებით დარგში - **საბჭოს წევრი;**

11. **ნიკოლოზ ცერცვაძე** - სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის „რადიო მუსიკა" FM 100.9 მთავარი პროდიუსერი - **საბჭოს წევრი;**
12. **ლიანა ჭონიშვილი** - ა(ა)იპ საქართველოს საგუნდო საზოგადოების დამფუძნებელი და თავმჯდომარე; თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორი, აკადემიური გუნდის დირიჟორობის მიმართულების ხელმძღვანელი, სტუდენტური გუნდის ხელმძღვანელი და დირიჟორი; „საშემსრულებლო ხელოვნების" საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის გუნდის დირიჟორობის კონცენტრაციის ხელმძღვანელი; თბილისის ევგენი მიქელაძის სახელობის ცენტრალური სამუსიკო სასწავლებლის საგუნდო-სადირიჟორო განყოფილების გამგე, პედაგოგი - **საბჭოს წევრი;**
13. **მარინა გუბელაძე** - ქალაქ ქუთაისის კულტურულ-სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანების ფილიალის, მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის ცენტრალური სამუსიკო სასწავლებლის დირექტორის მოადგილე სასწავლო დარგში - **საბჭოს წევრი;**
14. **ლალი ჭელიძე** - სსიპ ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის მუსიკის ფაკულტეტის დეკანი, კლავიშიან საკრავთა დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ფორტეპიანოს პედაგოგი, კონცერტმაისტერი - **საბჭოს წევრი;**
15. **მამუკა სიხარულიძე** - სამუსიკო ხელოვნების დოქტორი, ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ცენტრალური სამუსიკო სკოლის, „ნიჭიერთაათწლედი" სასწავლო ნაწილის გამგე, საფორტეპიანო განყოფილების პედაგოგი - **საბჭოს წევრი;**
16. **თამარ წულუკიძე** - საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს შემოქმედებითი პროცესის ხელშეწყობის დეპარტამენტის უფროსი - **საბჭოს წევრი.**

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი:

- **ქეთევან ფანჩულიძე** - კვალიფიკაციების განვითარების სამსახურის უფროსი;
- **ნინოგოგლიჩიძე** - კვალიფიკაციების განვითარების სამსახურის კოორდინატორი;
- **სოფიკო გაფრინდაშვილი**- კვალიფიკაციების განვითარების სამსახურის სპეციალისტი

დაინტერესებული მხარეები:

ქეთევან ვაჩეიშვილი - სსიპ ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი

თამარ ჩხაიძე - პროფესორი, ა(ა)იპ მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება – გიორგი მთაწმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის უმაღლესი სასწავლებელი

მაკა ლაშხია - სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.

საბჭოს სხდომა დაიწყო 17:05 სთ-ზე.

კვალიფიკაციების განვითარების სამსახურის კოორდინატორი ნინო გოგლიჩიძე მიესალმა საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ სხდომას საბჭოს 21 წევრიდან ესწრებოდა საბჭოს 16 წევრი. სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2019 წლის 11 ივნისის N476/ი 3 ბრძანების, უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის შემუშავების, განახლებისა და დამტკიცების, დარგობრივი საბჭოების, დარგობრივი სამუშაო ჯგუფების შექმნისა და საქმიანობის წესის მე-9 მუხლის 3 პუნქტის შესაბამისად, საბჭოს სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება/ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით მონაწილეობს საბჭოს შემადგენელ წევრთა ნახევარზე მეტი.

საბჭოს თავმჯდომარემ ნანა შარიქაძემ წარადგინა **დღის წესრიგი:**

- მუსიკისა და საშემსრულებლო ხელოვნების დარგობრივ მახასიათებელთან დაკავშირებით საბჭოს წევრთა წინადადებების განხილვა;

- წინა სხდომაზე მიღწეული შეთანხმებისამებრ კონსერვატორიის წარმომადგენლთა მიერ წარმოდგენილი ინგლისურენოვანი თარგმანი დეტალური სფეროს 0215.1.8 საშემსრულებლო ხელოვნება „საშემსრულებლო ხელოვნება Performing Arts (სიმებიანი საკრავები/ჩასაბერი საკრავები/დასარტყამი საკრავები/ვოკალი/საგუნდო დირიჟორობა/საოპერო-სიმფონიური დირიჟორობა/კონცერტმაისტერობა/ კლავიშიანი საკრავები/ჯაზ-ორკესტრის საკრავები/ჯაზ-ვოკალი/პოპ-მუსიკა/ტრადიციული მუსიკის შემსრულებლობა/ძველებური მუსიკალური საკრავები)" განახლებული დასახელებისთვის;
- ცენტრის იურიდიული სამსახურის რეკომენდაციისამებრ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებაში საბჭოს მიერ ინიცირებული ცვლილების: „წარმატებით ჩააბარა/ჩააბარა/ვერ ჩააბარა“ სისტემით შეფასებასთან დაკავშირებულ საკითხის, კერძოდ აღნიშნული შეფასების სისტემის კონსერვატორიის წარმომადგენელთა მიერ, საბჭოს საერთო მიმოწერაში გამოგზავნილი ქულობრივი რანჟირების, განხილვა;
- დარგობრივი მახასიათებლის ცენტრის დირექტორისთვის დოკუმენტის დასამტკიცებლად წარდგენის კენჭისყრა.

მოისმინეს:

1. საბჭოს წევრის მარინა ადამიას წინადადებები დარგობრივ მახასიათებელთან დაკავშირებით, კერძოდ, მისი მოსაზრებით, დეტალური სფეროს, - 0215.1.8 საშემსრულებლო ხელოვნება, - ფრჩხილებში მითითებული ფორმულირების საბჭოს მიერ ინიცირებული ცვლილების ფარგლებში, ქართულენოვან ვერსიაში - „(სიმებიანი საკრავები/ ჩასაბერი საკრავები/ დასარტყამი საკრავები/ ვოკალი/ საგუნდო დირიჟორობა/ საოპერო-სიმფონიური დირიჟორობა/ კონცერტმაისტერობა/ კლავიშიანი საკრავები/ ჯაზ-ორკესტრის საკრავები/ ჯაზ-ვოკალი/პ ოპ-მუსიკა/ ტრადიციული მუსიკის შემსრულებლობა/ ძველებური მუსიკალური საკრავები)“ - „სიმებიანი საკრავები“ უნდა შეიცვალოს „ხემიანი საკრავებით“, რადგან, სიმებიანი საკრავია არფაც და გიტარაც. საბჭოს თავმჯდომარე ნანა შარიქაძე არ დაეთანხმა წარმოდგენილ წინადადებას. მისი თქმით, სიმებიანი საკრავები უფრო ფართო ცნებაა, ხოლო ხემიანი საკრავები დაავიწროვებს მის შინაარსს; ამიტომ აჯობებს დარჩეს ფართო მნიშვნელობით, რადგან აღნიშნული ტერმინი საერთაშორისო სივრცეშიც ფართოდაა გავრცელებული.

2. მარინა ადამიას წინადადებით, „5.2. შეფასების მეთოდების“ ქვეთავში მოცემულ შემდეგ ფორმულირებაში ,,წარმატებით ჩააბარა/ჩააბარა/ვერ ჩააბარა“ სისტემის მეშვეობით **<u>უნდა</u>** შეფასდეს ისეთი დისციპლინები რომლებიც უკავშირდება შემოქმედებითი საშემსრულებლო პროექტის/ნამუშევრის შეფასებას (მათ შორის საორკესტრო კლასის, კამერული კლასის, საგუნდო კლასის, სტუდიო კლასის, საოპერო მომზადების, ხალხური საშემსრულებლო და სხვა გუნდური შემსრულებლობის სპეციფიკის მქონე დისციპლინები)“ - „უნდა შეფასდეს“ მანდატორული შინაარსის მატარებელი ჩანაწერია, ამიტომ, მიზანშეწონილია შეიცვალოს ფორმულირებით „შესაძლებელია“.

3. მესამე საკითხად განიხილეს საბჭოს ინიცირების საფუძველზე დეტალური სფეროს 0215.1.8 საშემსრულებლო ხელოვნება ფრჩხილებში მითითებული მოდიფიცირებული ფორმულირების ინგლისურენოვანი ფორმულირება, რომელიც წარმოადგინა კონსერვატორიამ. ამ ფორმულირებასთან დაკავშირებით არ გამოთქმულა შენიშვნები.

4. საბჭოს ინიცირებით, უნდა შევიდეს ცვლილება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებაში, რომლის თანახმად, სახელოვნებო მიმართულებით შესაძლებელია დაშვებულ იქნეს შემოქმედებითი/საშემსრულებლო პროექტის/ნამუშევრის შეფასება - ,,წარმატებით ჩააბარა/ჩააბარა/ვერ ჩააბარა“ სისტემის მეშვეობით. წინა სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებისამებრ და ცენტრის იურიდიული სამსახურის რეკომენდაციის გათვალისწინებით, საბჭოს წევრებმა კონსერვატორიიდან წარმოადგინეს აღნიშნული შეფასების სისტემის ქულობრივი რანჟირება, რადგან უსდ-ები,

რომლებიც ამ სისტემით შეაფასებენ სტუდენტებს, ინიცირებული ცვლილების ფარგლებში ვალდებულნი იქნებიან ამ სისტემით მიღებული შეფასება გადაიყვანონ ამავე ბრძანებით გათვალისწინებულ შეფასების სისტემაზე და ასახონ სტუდენტის დიპლომის დანართში.

კონსერვატორიის მიერ წარმოდგენილი ქულობრივი რანჟირებით წარმატებით ჩაბარა უტოლდება 91-100 ქულას, ჩააბარა უტოლდება 51-90 ქულას, ხოლო ვერ ჩააბარა - 50 და ნაკლებ ქულას.

საკითხზე მოსაზრებები გამოთქვეს ნანა შარიქაძემ, მარინა ადამიამ, ხათუნა მანაგაძემ, ქეთევან მანელიშვილმა, მარინა ქავთარაძემ, ნინო ბაქარაძემ და ასევე სხდომაზე დამსწრე დაინტერესებულმა პირმა თამარ ჩხეიძემ. მარინა ადამიამ დასვა შეკითხვა - ძალიან მაღალი მოთხოვნა ხომ არ არის 91-დან 100-მდე „წარმატებით ჩააბარასთვის“. აღნიშნულთან დაკავშირებით ცენტრის წარმომადგენელმა ნინო გოგლიჩიძემ აღნიშნა, რომ წარმატებით ჩააბარა იგივე „High Pass“ მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში 91-100 ქულის დიაპაზონშია მოქცეული. თამარ ჩხეიძე დაეთანხმა იმას, რომ „წარმატებით ჩააბარას'' შესაბამისი აუცილებლად 91-100 ქულათა დიაპაზონი უნდა იყოს, რადგანაც ეს არის „ჩააბარას“ უმაღლესი კატეგორია.

ხათუნა მანაგაძემ დასვა შეკითხვა: 51-60-მდე შეფასების 81-90-მდე შეფასებასთან გათანაბრება ხომ არ არის პრობლემა, რაზეც ქეთევან მანელიშვილმა უპასუხა, რომ პრობლემას ვერ ხედავს. ნინო გოგლიჩიძემ აღნიშნა, რომ საერთაშორისო გამოცდილებით, „Pass“ - „ჩაბარების“ მინიმალური ქულა ქვეყნებისა და უსდ-ების მიხედვით მერყეობს 60-75 ქულამდე. ნანა შარიქაძემ ხათუნა მანაგაძის კითხვასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ კონსერვატორიის შიდა რეგულაციაში აქვთ მსგავსი ჩანაწერი; ამასთან, ეს პრობლემას არ ქმნის, რადგან სავალდებულოა არსებობდეს ,,წარმატებით ჩააბარა/ჩააბარა/ვერ ჩააბარა“ სისტემის ქულობივი რანჟირება. არსებული პრაქტიკით „ჩააბარას“ 51-90 ქულამდე რანჟირება ეფუძნება სტუდენტის მიერ კურსის ფარგლებში როგორც ინდივიდუალური, ისე ჯგუფური მუშაობის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების შეფასებას. შესაბამისად, არსებულ პრაქტიკაში ჩააბარა, როგორც წესი, უფრო მაღალ ქულას შეესაბამება, ვიდრე 51-ია.

საბჭოს წევრი მარინა ქავთარაძე დაეთანხმა წარმოდგენილ ქულობრივ რანჟირებას.

ნინო გოგლიჩიძემ საბჭოს წევრებს დაუსვა შეკითხვა: ,,წარმატებით ჩააბარა/ჩააბარა/ვერ ჩააბარა“ სისტემის შეფასებისთვის გამოყენებისას, საჭირო ხომ არ არის დარგობრივ მახასიათებელში დამატებით მიეთითოს შესაბამისი პროგრამების განმახორციელებელი უსდ-ებისთვის, რომ ამ ტიპის შეფასების გამოყენების დროს არსებობდეს მკაფიო კრიტერიუმები და შეფასების რუბრიკები. ნანა შარიქაძემ და ნინო ბაქრაძემ აღნიშნეს, რომ შეფასებისთვის განსაზღვრული კრიტერიუმები მკაფიოდაა ჩამოყალიბებული სილაბუსების დონეზე და არ არის საჭირო ტექსტის დამატებითი მითითებებით დამძიმება.

5. საბჭოს თავმჯდომარემ ნანა შარიქაძემ კენჭისყრაზე დააყენა მუსიკისა და საშემსრულებლო ხელოვნების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის პროექტის ცენტრის დირექტორისთვის დასამტკიცებლად წარდგენის საკითხი, დათქმით, რომ ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე, იმ

საკითხების გამოკლებით, რომლებზეც მითითებულია, რომ დათქმა ამოქმედდება შესაბამის ნორმატიულ აქტში ცვლილებების განხორციელების შემდგომ.

დაადგინეს:

1. საბჭომ არ გაიზიარა წარმოდგენილი წინადადება.

2. საბჭომ გაიზიარა მარინა ადამიას წინადადება და „5.2. შეფასების მეთოდების“ ქვეთავში მოცემული ფორმულირება ჩამოყალიბდა შემდეგი სახით: „,,წარმატებით ჩააბარა/ჩააბარა/ვერ ჩააბარა“ სისტემის მეშვეობით **შესაძლებელია** შეფასდეს ისეთი დისციპლინები რომლებიც უკავშირდება შემოქმედებითი საშემსრულებლო პროექტის/ნამუშევრის შეფასებას (მათ შორის საორკესტრო კლასის, კამერული კლასის, საგუნდო კლასის, სტუდიო კლასის, საოპერო მომზადების, ხალხური საშემსრულებლო და სხვა გუნდური შემსრულებლობის სპეციფიკის მქონე დისციპლინები).“
3. დეტალური სფეროს "0215.1.8 საშემსრულებლო ხელოვნება (სიმებიანი საკრავები/ ჩასაბერი საკრავები/ დასარტყამი საკრავები/ ვოკალი /საგუნდო დირიჟორობა/ საოპერო-სიმფონიური დირიჟორობა/ კონცერტმაისტერობა/ კლავიშიანი საკრავები/ ჯაზ-ორკესტრის საკრავები/ ჯაზ-ვოკალი/ პოპ-მუსიკა/ ტრადიციული მუსიკის შემსრულებლობა/ ძველებური მუსიკალური საკრავები)" ინგლისურენოვანი დასახელება ჩამოყალიბდა შემდეგი ფორმულირებით: Performing Arts (String Instruments/ Wind Instruments/ Percussion/ Vocal Arts / Choral Conducting / Opera and Orchestral Conducting/ Collaborative Piano/ Keyboard Instruments/ Jazz Orchestra Instruments/ Jazz Vocal/ Pop-Music/ Performance of Traditional Music/ Historical Instruments. აღნიშნულ ჩანაწერს დაემატა შემდეგი ჩანაწერი: (აღნიშნული დათქმა ამოქმედდეს შესაბამის ნორმატიულ აქტში ცვლილებების განხორციელების შემდგომ).
4. საბჭოს მიერ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებაში შესატანი ცვლილების ფორმულირება ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: „სახელოვნებო მიმართულებით შესაძლებელია დაშვებულ იქნეს შემოქმედებითი/საშემსრულებლო პროექტის/ნამუშევრის შეფასება - ,,წარმატებით ჩააბარა/ჩააბარა/ვერ ჩააბარა“ სისტემის მეშვეობით, სადაც, წარმატებით ჩააბარა უტოლდება 91-100 ქულას, ჩააბარა უტოლდება 51-90 ქულას, ხოლო ვერ ჩააბარა - 50 ქულასა და ნაკლებს. მოცემულ შემთხვევაში, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უზრუნველყოფს აღნიშნული სისტემით მიღებული შეფასების გადაყვანას ამ ბრძანებით დადგენილ ქულობრივ სისტემაზე, რაც აისახება დიპლომის დანართში.“
5. საბჭომ ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით მხარი დაუჭირა მუსიკისა და საშემსრულებლო ხელოვნების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის პროექტის ცენტრის დირექტორისთვის დასამტკიცებლად

წარდგენას დათქმით, რომ ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე, იმ საკითხების გამოკლებით, რომლებზეც მითითებულია რომ დათქმა ამოქმედდება შესაბამის ნორმატიულ აქტში ცვლილებების განხორციელების შემდგომ.
დამტკიცებული დარგობრივი მახასიათებელი დანართი N1-ის სახით თან ერთვის წინამდებარე ოქმს.

სხდომა დასრულდა 17:30-ზე.

საბჭოსთავმჯდომარე,

ნანა შარიქაძე _____

საბჭოსმდივანი

ნანა ვალიშვილი _____

დანართი N1

მუსიკისა და საშემსრულებლო ხელოვნების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი
უმაღლესი განათლების I და II საფეხური
ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს VI და VII დონეები

2023

I. შესავალი

წინამდებარე დარგობრივი მახასიათებელი წარმოადგენს აკადემიური განათლების სტანდარტს, რომელიც მუსიკის სფეროს უმაღლესი განათლების I და II საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებისათვის განსაზღვრავს კვალიფიკაციის მისანიჭებლად აუცილებელი სწავლის შედეგების მინიმალურ მოთხოვნებს, მათ მისაღწევად საჭირო სწავლება-სწავლის, შეფასების მიდგომებს და სხვა არსებით მახასიათებლებს.

ინგლისურ ენაზე წინამდებარე დარგობრივი მახასიათებლის დასახელებაა Subject Benchmark Statement of Music and Performing Art.

წინამდებარე დარგობრივი მახასიათებლის მიზანია ხელი შეუწყოს სამუსიკო განათლების საბაკალავრო (I საფეხური), სამაგისტრო (II საფეხური) საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებას, სტუდენტთა მობილობას, მინიჭებული კვალიფიკაციის საერთაშორისო დონეზე აღიარებას და დასაქმებას.

ამავდროულად, დარგობრივი მახასიათებელი წარმოადგენს ზოგად გზამკვლევს და არა ეროვნულ კურიკულუმს ან სწავლება-სწავლისა და შეფასების უნიფიცირებული მიდგომების ჩამონათვალს. ის არის ზოგადი ჩარჩო, რომელიც იძლევა მოქნილი საგანმანათლებლო პროგრამების შექმნის, ასევე შემდგომი განვითარების შესაძლებლობას სფეროს სპეციალისტებთან შეთანხმებული საზღვრების ფარგლებში.

დარგობრივი მახასიათებელი განსაზღვრავს იმ ცოდნის, უნარების, პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის მინიმალურ სავალდებულო სტანდარტს, რომელსაც პირი უნდა აკმაყოფილებდეს საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებისას.

წინამდებარე უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის მოქმედების ვადა განისაზღვრება 7 წლით ან/და საჭიროებისამებრ ექვემდებარება სფეროს სპეციალისტების მიერ გადახედვას.

წინამდებარე დარგობრივი მახასიათებელი რეკომენდებულია:

- საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება-განვითარებასა და განხორციელებაში ჩართული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალისთვის;
- აბიტურიენტთათვის, რომლებიც არჩევანს აკეთებენ უმაღლეს სამუსიკო საგანმანათლებლო პროგრამებზე;
- სტუდენტთათვის, რომლებიც უმაღლესი განათლების 1-ელ და მე-2 საფეხურზე სწავლობენ სამუსიკო საგანმანათლებლო პროგრამებზე;

- ადგილობრივ და უცხოელ სტუდენტთათვის, რომელთაც მობილობის, გაცვლითი პროგრამებისა და პროექტების ფარგლებში განზრახული აქვთ, სწავლა განაგრძონ შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამებზე;
- დამსაქმებელთათვის, რომლებიც დაინტერესებული არიან წინამდებარე დარგობრივი მახასიათებლის შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულთა დასაქმებით;
- განათლების სფეროს ექსპერტთათვის, რომლებსაც პერიოდულად ევალებათ სამუსიკო საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება, მონიტორინგი ან აკრედიტაციის მოქმედ სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენა;
- აკრედიტაციის, ავტორიზაციისა და აპელაციის საბჭოს წევრებისთვის, რომლებიც მონაწილეობენ საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებისა და აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებელში გათვალისწინებულია დეტალური სფეროს „სამუსიკო ხელოვნების" სპეციფიკა და დარგობრივი მახასიათებლები. კვალიფიკაცია „სამუსიკო ხელოვნება" გათვალისწინებული იყო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბერის N 120/ნ ბრძანებით დამტკიცებულ ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოში, თუმცა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ განახლებულ სწავლის სფეროების კლასიფიკატორში აღნიშნული სფერო გადატანილ იქნა მე-3 სვეტში, რომელიც განკუთვნილია პროფესიული საფეხურის კვალიფიკაციებისთვის. აღნიშნული გადაწყვეტილებით არ იქნა გაზიარებული მსოფლიოში საყოველთაოდ მიღებული პრაქტიკა, რომელიც იძლევა საშუალებას უმაღლესი განათლების სამივე საფეხურზე იქნას მინიჭებული სამუსიკო ხელოვნების ბაკალავრის, მაგისტრისა და დოქტორის კვალიფიკაციები.

სამუსიკო ხელოვნების საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამები სამუსიკო სფეროს ინტრადისციპლინური პროგრამებია ინტერდისციპლინური კომპონენტებით. შესაბამისად, საეთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებითა და დოკუმენტის შემმუშავებელი ჯგუფის წევრების მოსაზრებით, სწავლის სფეროების კლასიფიკატორში დეტალური სფეროს 0215 მუსიკა და საშემსრულებლო ხელოვნება 1-ელ სვეტში არსებული სფეროების ჩამონათვალს უნდა დაემატოს „სამუსიკო ხელოვნება".

უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებელში, სფეროს სპეციალისტების გადაწყვეტილებით, დეტალური სფეროს „0215.1.8 საშემსრულებლო ხელოვნება Performing Arts (საორკესტრო საკრავები, სოლო აკადემიური სიმღერა/ ვოკალის ხელოვნება, კლავიშებიანი საკრავები, ჯაზ-ორკესტრის საკრავები, ჯაზ-ვოკალი, პოპ-

ვოკალი)” ფორმულირება უნდა შეიცვალოს და დაზუსტდეს უმაღლესი სამუსიკო განათლების ეროვნული და საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით ა ჩამოყალიბდეს შემდეგი ფორმულირებით: 0215.1.8 საშემსრულებლო ხელოვნება (სიმებიანი საკრავები/ჩასაბერი საკრავები/დასარტყამი საკრავები/ვოკალი/საგუნდო დირიჟორობა/საოპერო-სიმფონიური დირიჟორობა/კონცერტმაისტერობა/ კლავიშიანი საკრავები/ჯაზ-ორკესტრის საკრავები/ჯაზ-ვოკალი/პოპ-მუსიკა/ტრადიციული მუსიკის შემსრულებლობა/ძველებური მუსიკალური საკრავები). Performing Arts (String Instruments/Wind Instruments/Percussion/Vocal Arts /Choral Conducting /Opera and Orchestral Conducting/Collaborative Piano/ Keyboard Instruments/Jazz Orchestra Instruments/Jazz Vocal/Pop-Music/Performance of Traditional Music/Historical Instruments). (აღნიშნული დათქმა ამოქმედდეს შესაბამის ნორმატიულ აქტში ცვლილებების განხორციელების შემდგომ). ფრჩხილებში მითითებული მიმართულებებით შესაძლებელია განხორციელდეს დამოუკიდებელი საგანმანათლებლო პროგრამები ან მოდულები. ფრჩხილებში მითითებული სწავლის სფეროების დაკონკრეტება აღნიშნული სწავლის სფეროს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებებისთვის წარმოადგენს დამატებით მითითებას სფეროში საგანმანათლებლო პროგრამების გავრცელებული პროფილების შესახებ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მუსიკისა და საშემსრულებლო ხელოვნების უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოს ინიცირებით, ცვლილება უნდა შევიდეს სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მე-4 მუხლის მე-6 პუნქტში და ფორმულირება ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: „6. კლასიფიკატორის დეტალურ სფეროებში განთავსებულ სწავლის სფეროებში ფრჩხილებში არსებული მითითებები/ ტერმინები არ აისახება კვალიფიკაციის სახელწოდებაში. (გარდა 0215 მუსიკისა და საშემსრულებლო ხელოვნების დეტალურ სფეროში შემავალი სწავლის სფეროებისა).”

მაგალითად, სამუსიკო ხელოვნების ბაკალავრი საშემსრულებლო ხელოვნებაში (სიმებიანი საკრავები). (აღნიშნული დათქმა ამოქმედდეს შესაბამის ნორმატიულ აქტში ცვლილებების განხორციელების შემდგომ).

ასევე, დარგობრივი მახასიათებლის შემმუშავებელი ჯგუფის წევრების გადაწყვეტილებით რამდენადაც აღნიშნული სფეროს სახელწოდება შინაარსობრივად აჯგუფებს დირიჟორობასთან დაკავშირებულ ყველა დეტალურ სფეროს, ზემოაღნიშნული ცვლილების საფუძველზე სწავლის სფეროების კლასიფიკატორიდან ამოღებულ უნდა იქნეს დეტალური სფერო: „ 0215.1.18 სიმფონიური ორკესტრის დირიჟორობა Orchestral Conducting” და 0215.1.14 აკადემიური გუნდის დირიჟორობა Choral Conducting”.

ზემოაღნიშნული უნდა დარეგულირდეს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით (აღნიშნული დათქმა ამოქმედდეს შესაბამის ნორმატიულ აქტში ცვლილებების განხორციელების შემდგომ).

II. სწავლის სფეროს აღწერა

მუსიკა შემოქმედებითი, პრაქტიკული, სამეცნიერო-კვლევითი და ინტელექტუალური საქმიანობის სფეროა, რომელსაც გააჩნია არამატერიალური და მატერიალური განზომილება. ის უდიდეს გავლენას ახდენს ადამიანისა და საზოგადოების ცხოვრებასა და ცნობიერებაზე, მორალური და სულიერი ფასეულობების ჩამოყალიბებაზე, ზემოქმედებს ემოციებზე, ფსიქიკასა და ქცევაზე.

მუსიკა, იმავდროულად, გამოხატვისა და კომუნიკაციის უნიკალური საშუალებაა, რომელიც თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე, ყოველგვარი ბარიერის გარეშე უზრუნველყოფს სხვადასხვა კულტურის, გამოცდილების, შესაძლებლობებისა და ასაკის ადამიანებისა და საზოგადოებების ურთიერთობას.

მუსიკა, თავისი არსით, ინტერ და მულტიდისციპლინური, გლობალური და მულტიკულტურული დარგია და სცდება ხელოვნების სფეროს ფარგლებს. კაცობრიობის კულტურის ისტორიაში საკუთარი არავერბალური, ფიზიკური, ინტელექტუალური თუ ემოციური საკომუნიკაციო სისტემების გავლენების წყალობით იგი არაერთგზის გამხდარა ფილოსოფიის, ესთეტიკის, რელიგიის, მედიცინის, ფიზიკის, პედაგოგიკის, ისტორიის, ფსიქოლოგიის, პოლიტიკის მეცნიერებებისა და სხვა მრავალი დარგის შესწავლისა და კვლევის საგანი. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მუსიკის შესწავლა არსებითი მნიშვნელობისაა უმაღლესი განათლების საფეხურზე.

მუსიკას მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს როგორც ადგილობრივ, ისე გლობალურ ეკონომიკაში.

თავად მუსიკალური შემოქმედების სპეციფიკა, მისი კანონზომიერებები, გამომსახველობითი საშუალებები და მათი ევოლუცია, საზოგადოებასთან ურთიერთობის ფორმები ხანგრძლივი და თანმიმდევრული შესწავლის საგანია.

ტერმინი *უმაღლესი სამუსიკო განათლება* გამოიყენება უმაღლესი განათლების კონტექსტში განხორციელებული მუსიკის სწავლების განმარტებისთვის, რომელიც უპირველეს ყოვლისა მიმართულია ფართო ცოდნისა და ხედვის, მრავალმხრივი შემოქმედებითი, ანალიტიკური და პრაქტიკული უნარების მქონე სპეციალისტის აღზრდისკენ.

უმაღლესი სამუსიკო განათლების მიზანია ხარისხიანი სამუსიკო განათლების უზრუნველყოფა და სწავლებისთვის ისეთი გარემოს შექმნა, რომელიც ხელს უწყობს განათლებული, მოაზროვნე, მრავალმხრივი, ინოვაციური და ფართო ხედვის მქონე მუსიკოსის აღზრდას, ანალიტიკური, თანამშრომლობისა და კომუნიკაციის უნარებით;ასევეაკადემიური, შემოქმედებითი და კვლევითი პროცესების ხელშეწყობას,

ცოდნის ძიებას, კრიტიკულ და ინოვაციურ აზროვნებას, ღია დიალოგისთვის მზაობას და თითოეული სტუდენტის თვითმყოფად, კონკურენტუნარიან შემოქმედად ჩამოყალიბებას.

შესაბამისად, ფართო გაგებით, უმაღლესი სამუსიკო განათლება გულისხმობს:

- შემოქმედებით და საშემსრულებლო პრაქტიკას (კომპოზიცია, შესრულება, იმპროვიზაცია, არანჟირება, პროდიუსინგი);
- მუსიკის, როგორც ენის და ტექსტის შესწავლას (ნოტაცია, ხმოვანება, მუსიკის თეორია);
- მუსიკის კულტურული და სოციალური კონტექსტების შესწავლასა და კვლევას (ისტორიულსა და თანამედროვეს);
- მუსიკის, როგორც გამოყენებითი სფეროს შესწავლას (კინო, თეატრი, ჯანმრთელობა და კეთილდღეობა და სხვ.) ;
- მუსიკის საშუალებით საზოგადოებრივი სიკეთის შექმნას.

სამუსიკო საგანმანათლებლო პროგრამა შესაძლოა ასევე მოიცავდეს პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად აუცილებელი შესაბამისი კომპონენტების სწავლებას შემდეგისფეროებიდან: ანთროპოლოგია, ეთნოლოგია, ლიტურგიკა, მენეჯმენტი/ბიზნესი, ეკონომიკა, ცეკვა, დრამა, ინჟინერია, ჯანდაცვა, ისტორია, უცხო ენა, ლინგვისტიკა, ლიტერატურა, ფილოსოფია, ფიზიკა, ფსიქოლოგია, სოციოლოგია, ტექნოლოგია, ეკოსისტემები და სხვ.

უმაღლესი განათლების სხვადასხვა საფეხურზე სამუსიკო განათლების სფეროში კვალიფიკაციების მიღება შესაძლებელია უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, რომლებიც ახორციელებენ წინამდებარე უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლით დაფარულ საგანმანათლებლო პროგრამებს.

შინაარსისა და მოცულობის თვალსაზრისით მუსიკის პროგრამები მრავალფეროვანია: პროგრამების ნაწილი ორიენტირებულია სტუდენტების საშემსრულებლო, მუსიკოლოგიური და საკომპოზიტორო კარიერისთვის მომზადებაზე, ხოლო ნაწილი ინტრა და ინტერდისციპლინური პროგრამებია.

უმაღლეს სამუსიკო განათლებაში მაღალმხატვრული არტისტიზმის განვითარება მხოლოდ ტექნიკურ და ინტელექტუალურ წვრთნაზე არ არის დამოკიდებული, არამედ სტუდენტის, როგორც მუსიკოსის შინაგანი სიმწიფის უზრუნველყოფაზეც, რაც მომზადების ხანგრძლივ და შრომატევად პროცესს გულისხმობს.

უმაღლესი განათლების შესახებ კანონისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 30 სექტემბერის №206/ნ ბრძანების შესაბამისად სამუსიკო ხელოვნების სფეროში საბაკალავრო სწავლება შესაძლოა მოიცავდეს

არანაკლებ 180 ECTS ან 240 ECTS კრედიტს, ხოლო სამაგისტრო სწავლება არანაკლებ 120 ECTS კრედიტისა.

2.1. დასაქმების სფერო

აკადემიური ხარისხი სამუსიკო განათლებაში კურსდამთავრებულს დასაქმების თვალსაზრისით ფართო სპექტრის არჩევანით უზრუნველყოფს. მუსიკის პროგრამების კურსდამთავრებულებს შეუძლიათ საკუთარი კარიერა დაუკავშირონ: სხვადასხვა სტილის მუსიკის სოლო, საანსამბლო, საგუნდო, საორკესტრო შემსრულებლობას, კომპოზიციას, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში - პედაგოგიკას (სკოლამდელი აღზრდის, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებსა და სპეციალიზებულ სამუსიკო საგანმანათლებლო დაწესებულებებში), აუდიო ხელოვნებას, ხმის ინჟინერიას, მუსიკის ტექნოლოგიას, მუსიკის ჟურნალისტიკას, მუსიკალურ გამომცემლობებს, ტელე და რადიო მაუწყებლობას, ციფრულ მედიას, მუსიკის მენეჯმენტს, ხმის ჩამწერ ინდუსტრიას, მუსიკის პროდიუსირებას/წარმოებას, სათემო მუსიკას, ლიტურგიკურ პრაქტიკას, მუსიკის თერაპიას და სხვ. განათლების შემდგომ საფეხურებზე სწავლის გაგრძელების შემთხვევაში, კურსდამთავრებულები დასაქმდებიან აკადემიურ და კვლევით სტრუქტურებში, კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრებში. კურსდამთავრებულები ასევე შესაძლებელია დასაქმდნენ სამუსიკო სფეროს ადმინისტრატორის, კონსულტანტის, სფეროს პოლიტიკისა და სტრატეგიის შემქმნელების პოზიციებზე და სხვ. მუსიკის პროგრამების კურსდამთავრებულების დასაქმება მხოლოდ მუსიკალური კარიერით არ შემოიფარგლება - ისინი შეძლებენ საკუთარი შესაძლებლობების რეალიზებას ფინანსურ, საგანმანათლებლო, მედია, ინდუსტრიულ, ტექნოლოგიურ, საზოგადო სფეროებსა და მესამე სექტორებში.

III. სწავლის შედეგები

წინამდებარე თავში განსაზღვრულია ბაკალავრიატის და მაგისტრატურის საფეხურის კურსდამთავრებულთა მინიმალური სავალდებულო სწავლის შედეგები, საგანმანთლებლო დაწესებულება უფლებამოსილია პროგრამის მიზნებიდან და შინაარსიდან გამომდინარე უფრო მაღალი დონის სწავლის შედეგებიც განსაზღვროს. უმაღლესი განათლების I და II საფეხურის სწავლის შედეგების უნარის კომპონენტში გამოყოფილია როგორც ყველა მიმართულებისთვის სავალდებულო უნარები, ასევე ცალ-ცალკე პუნქტებად დაკონკრეტებულია სპეციფიური უნარები, რომელებიც მოეთხოვება მუსიკისა და საშემსრულებლო ხელოვნების შესაბამისი სპეციალიზაციის კურსდამთავრებულს.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ასევე უფლებამოსილია, შემდეგი კომპონენტების, ცოდნა და გაცნობიერება, უნარი, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა - გათვალისწინებით, სწავლის შედეგები სამ კატეგორიად დაყოფის გარეშე ჩამოაყალიბოს.

3.1. ბაკალავრიატის საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულთა სწავლის შედეგები

ცოდნა და გაცნობიერება

კურსდამთავრებული:

- ახდენს მუსიკის ისტორიის ძირითადი ეტაპების, უმნიშვნელოვანესი სტილებისა და ჟანრების და მათთან დაკავშირებული მუსიკალური მასალის ცოდნის დემონსტრირებას;
- ავლენს მასალის ფართო სპექტრისა და მასთან დაკავშირებული (ვერბალური/სანოტო და სხვა) კონცეფციების, ტექსტების და/ან რესურსების ცოდნას.
- აღწერს და განსაზღვრავს მუსიკის ისტორიულ, სოციალურ-კულტურულ კონტექსტებთან, მისი განვითარების და სახეცვლის სხვადასხვა ფაქტორებთან მიმართებაში, მუსიკის ადგილს, როლსა და მნიშვნელობას ადამიანის ცხოვრებაში.

უნარი:

- ინტერპრეტირებს სხვადასხვა სტილის, ჟანრის და ეპოქის მუსიკას.
- მოძიებული ინფორმაციის/მასალის შესწავლის/ანალიზის საფუძველზე, აკადემიური სტანდარტების დაცვით ქმნის და/ან ამზადებს საკონცერტო პროგრამას /ნაშრომს/პროექტს/პორტფოლიოს და ახდენს მათ პრეზენტირებას.
- ახდენს სხვადასხვა გამომსახველობითი საშუალებებით საკუთარი ნამუშევრის, მუსიკალური იდეების/მასალის გენერირებას და რეალიზებას;

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

- განსაზღვრავს საკუთარი სწავლის საჭიროებებს, დამოუკიდებლად მართავს საკუთარ სწავლის პროცესს;

- პროფესიულ საქმიანობაში იცავს ეთიკის პრინციპებს; ინდივიდუალური და გუნდური მუშაობის პრინციპების დაცვით თანამშრომლობს მუსიკისა და/ან ხელოვნების სხვადასხვა დარგის წარმომადგენლებთან.

3.2. მაგისტრატურის საფეხურის კურსდამთავრებულთა სწავლის შედეგები

ცოდნა და გაცნობიერება

კურსდამთავრებული:

- ავლენს მუსიკის სხვადასხვა ჟანრის, სტილისა და ეპოქის, კულტურული თავისებურებებისა და ტრადიციების სიღრმისეულ ცოდნას.
- ავლენს მხატვრული ჩანაფიქრის გამოხატვისთვის საჭირო მუსიკის გამომსახველობითი საშუალებების სიღრმისეულ ცოდნას.

უნარი

- იყენებს მრავალფეროვან ინტერაქციულ ფორმებს სხვადასხვა აუდიტორიასთან ურთიერთობისათვის;
- ინფორმაციული და/ან საკომუნიკაციო ტექნოლოგიებისა და სფეროსთვის სპეციფიკური შემოქმედებითი/კვლევის მეთოდების გამოყენებით ასრულებს და/ან ქმნის ტექსტურ/მუსიკალურ შემოქმედებით/კვლევით/საშემსრულებლო ნაშრომს/პროექტს/კონცერტს/პორტფოლიოს და ახდენს მის პრეზენტირებას;
- სხვადასხვა ჟანრის, სტილისა და ეპოქის, კულტურული თავისებურებებისა და ტრადიციების გათვალისწინებით/ სხვადასხვა გამომსახველი საშუალებების გამოყენებით და დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხით ახდენს შემოქმედებითი იდეის/მასალის/კონცეფციების გენერირებას/ ინტერპრეტირებასა და რეალიზებას;
- ახდენს საკუთარი ცოდნის ინტეგრირებას ახალ და/ან უცნობ და ცვალებად გარემოში და დამოუკიდებლად გადაჭრის სხვადასხვა სირთულის ამოცანას.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

- იცავს პროფესიული ეთიკისა და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპებს;

- ადაპტირდება ახალ და ცვალებად გარემოში, ავლენს დროისა და სტრესის მართვის უნარებს;
- საქმიანობისას ავლენს პასუხისმგებლობას და გუნდური მუშაობის უნარს.

IV. მისანიჭებელი კვალიფიკაცია

წინამდებარე კვალიფიკაციების დასახელებებში განსაზღვრული ცვლილებები განპირობებულია ევროპის უმაღლესი განათლების სივრცეში არსებული საუკეთესო გამოცდილების გაზიარების, ჰარმონიზებისა და ინტერნაციონალიზაციის პროცესების ხელშეწყობისათვის; ასევე, კომპეტენციასა და დასაქმებაზე ორიენტირებული მრავალფეროვანი უმაღლესი საგანმანათლებლო სისტემის გაძლიერების მიზნებისათვის.

უმაღლესი განათლების შესაბამისი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების მიზნები, შინაარსი და სწავლის შედეგები უნდა შეესაბამებოდეს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს შესაბამისი დონისათვის (მე-6/ მე-7) განზოგადებულ სწავლის შედეგებს.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებული სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესამაბისად სამუსიკო ხელოვნების უმაღლესი განათლების 1-ელ და მე-2 საფეხურებზე მისანიჭებელი კვალიფიკაციის დასახელებების სახით შესაძლებელია გამოყენებულ იქნას:

- **სამუსიკო ხელოვნების ბაკალავრი *დეტალური სწავლის სფეროს მითითებით* Bachelor of Music (Bmus)- Field of study.** აღნიშნულ კვალიფიკაციის მიმნიჭებელი საგანმანათლებლო პროგრამა ორიენტირებულია დარგობრივ, სპეფიკურ საგანმანათლებლო კომპონენტების ერთობლიობაზე და შესაძლოა შედარებით მცირე მოცულობით ითვალისწინებდეს ზოგადსაუნივერსიტეტო/ლიბერალური განათლების დისციპლინების/კომპონენტების სწვლებას და შესაძლებელია განხორციელებულ იქნას არანაკლებ 180 ECTS კრედიტის ფარგლებში.
- **სამუსიკო ხელოვნების მაგისტრი*დეტალური სწავლის სფეროს მითითებით* Master of Music (Mmus) – Field of study.** აღნიშნულ კვალიფიკაციაზე გამსვლელი საგანმანათლებლო პროგრამა ორიენტირებულია დარგობრივ, სპეფიკურ საგანმანათლებლო კომპონენტების ერთობლიობაზე და შესაძლებელია ნაცვლად საკვალიფიკაციო (სამაგისტრო) ნაშრომისა ითვალისწინებდეს შემოქმედებითი-საშემსრულებლო პროექტის პრეზენტაციას/პორტფოლიოს არანაკლებ 120 ECTS კრედიტის ფარგლებში.

მუსიკისა და საშემსრულებლო ხელოვნების უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოს გადაწყვეტილებითა და ევროპის უმაღლესი განათლების სივრცეში აპრობირებული საუკეთესო გამოცდილების გათვალისწინებით მუსიკისა და საშემსრულებლო ხელოვნების დეტალურ სფეროში უმაღლესი სამუსიკო საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში ასევე შესაძლებელი უნდა იყოს შემდეგი კვალიფიკაციების მინიჭება:

- **ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრი***დეტალური სწავლის სფეროს მითითებით* Bachelor of Arts (BA)- Field of study. აღნიშნულ კვალიფიკაციაზე გამსვლელი საგანმანათლებლო პროგრამა ორიენტირებულია როგორც დარგობრივი, სპეციფიკური სასწავლო კომპონენტების, ასევე ზოგადსაუნივერსიტეტო/ლიბერალური განათლების სასწავლო დისციპლინების/კომპონენტების ერთობლიობაზე და შესაძლებელია განხორციელებულ იქნას არანაკლებ 240 ECTS კრედიტის ფარგლებში.
- **ჰუმანიტარული მეცნიერებების მაგისტრი***დეტალური სწავლის სფეროს მითითებით* Master of Arts (MA) – Field of study. აღნიშნულ კვალიფიკაციაზე გამსვლელი საგანმანათლებლო პროგრამა ორიენტირებულია როგორც დარგობრივი, სპეციფიკური სასწავლო, ასევე კვლევითი კომპონენტის/კომპონენტების ერთობლიობაზე და შესაძლებელია განხორციელებულ იქნას არანაკლებ 120 ECTS კრედიტის მოცულობით.
- **ხელოვნების ბაკალავრი *დეტალური სწავლის სფეროს მითითებით*** Bachelor of Fine Arts (BFA)- Field of study. აღნიშნულ კვალიფიკაციაზე გამსვლელი საგანმანათლებლო პროგრამა მულტიდისციპლინურია, ეფუძნება კურიკულუმის გარკვეულ მოქნილობას და ინტერ- და ინტრადისციპლინურ მიდგომას. პროგრამა ორიენტირებულია როგორც დარგობრივი, სპეფიციკური სასწავლო კომპონენტების, ასევე ზოგადსაუნივერსიტეტო/ლიბერალური განათლების სასწავლო დისციპლინების და კომპონენტების ერთობლიობაზე. შესაძლებელია განხორციელებულ იქნას არანაკლებ 240 ECTS კრედიტის მოცულობით.
- **ხელოვნების მაგისტრი*დეტალური სწავლის სფეროს მითითებით*/** Master of Fine Arts (MFA) – Field of study. აღნიშნულ კვალიფიკაციაზე გამსვლელი საგანმანათლებლო პროგრამა მულტიდისციპლინურია და ფოკუსირებულია დარგობრივი, სპეციფიური კომპონენტების გაღრმავებაზე კვლევით კომპონენტთან ერთობლიობაში. შესაძლებელია განხორციელებულ იქნას არანაკლებ 120 ECTS კრედიტის მოცულობით.

აღნიშნული უნდა დარეგულირდეს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით განახლებულ სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მე-4 მუხლში „ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საფეხურების შესაბამისი კვალიფიკაციების დასახელებები" და ვიწრო სფეროში 021 ხელოვნება შემავალ შემდეგ დეტალურ სფეროში 0215 მუსიკასთან დაკავშირებული სწავლის სფეროებს შესაბამისი კვალიფიკაციის დასახელებების ფორმულირებები ჩამოყალიბდეს ზემოაღნიშნულის შესაბამისად. (აღნიშნული დათქმა ამოქმედდეს შესაბამის ნორმატიულ აქტში ცვლილებების განხორციელების შემდგომ).

V. სწავლა-სწავლებისა და შეფასების მეთოდები

უმაღლესი სამუსიკო განათლება ფოკუსირებულია სტუდენტისთვის ფართო და მრავალმხრივი ცოდნის მიცემასა და მასში შემოქმედებითი, ანალიტიკური და პრაქტიკული უნარების განვითარებაზე. ის ხშირად აერთიანებს ფორმალური და არაფორმალური სწავლების ელემენტებს. ასევე, გულისხმობს პროფესიულ გარემოში გამოცდილების სისტემატურ დაგროვებას.

5.1. სწავლა-სწავლების მეთოდები

მუსიკის სწავლება, განსაკუთრებით იქ, სადაც პრაქტიკული უნარების განვითარება ხდება, მოიცავს მნიშვნელოვან ინდივიდუალურ ან/და მცირე ჯგუფებში სწავლების კომპონენტს.

გარდა ინდივიდუალური სწავლებისა, სფეროს მნიშვნელოვანი სპეციფიკური სწავლების მეთოდია ე.წ. შერევითი/კოლაბორაციული სწავლება, რომელიც გულისხმობს საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტების, როგორც ჰორიზონტალურ, ასევე ვერტიკალურ ჭრილში შერევით სწავლებას. აღნიშნული მიდგომით სტუდენტთა მომზადება განსაკუთრებით ეფექტიანია საანსამბლო, საგუნდო, საორკესტრო კლასების, სტუდიო კლასების, ვორქშოპებისა და მასტერკლასების, ასევე შემოქმედებითი პროექტების დროს. აღნიშნულიდან გამომდინარე, სამუსიკო სახელოვნებო საგანმანათლებლო პროგრამა შესაძლებელია ითვალისწინებდეს სასწავლო კურსებს, რომლებიც ეფუძნება უმაღლესი განათლების სამივე საფეხურის სტუდენტების შერევით/კორლაბორაციულ სწავლებას, რაც უნდა დარეგულირდეს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებული სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მე-6 მუხლით: „მუხლი 6. კლასიფიკატორის შესაბამისად უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება" და უნდა დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-8 პუნქტი „8. სახელოვნებო საგანმანათლებლო პროგრამა შესაძლებელია ითვალისწინებდეს სასწავლო კურსებს, რომლებიც ეფუძნება უმაღლესი განათლების სამივე საფეხურის სტუდენტების შერევით/კოლაბორაციულ სწავლებას". (აღნიშნული დათქმა ამოქმედდეს შესაბამის ნორმატიულ აქტში ცვლილებების განხორციელების შემდგომ).

უმაღლესი სამუსიკო საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში სწავლება-სწავლის მეთოდები შესაძლებელია მრავალგვარი იყოს. სფეროს განვითარების დინამიკიდან გამომდინარე, მუდმივად ახლდება სწავლება-სწავლის მეთოდოლოგია.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია ქვემოთჩამოთვლილთაგან შერჩეული ან სხვა მეთოდები გამოიყენოს.

ფართოდ გამოყენებული სწავლება-სწავლის მეთოდებია:

- ინდივიდუალური სწავლების მეთოდი/ ხელმძღვანელობა;
- ჯგუფური სწავლების მეთოდი (ლექცია, პრაქტიკუმი, სემინარი, თანატოლებისაგნ სწავლა/ ურთიერთსწავლება, სტუდიო კლასი, ლაბორატორიული მუშაობა, პერფორმანსი და სხვ.);
- ვორკშოპი;
- მასტერკლასი;
- სტაჟირება/პრაქტიკა;
- პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება;
- ელექტრონული სწავლება (სინქრონული, ასინქრონული, ჰიბრიდული);
- პრეზენტაცია;
- შემთხვევის ანალიზი;
- გონებრივი იერიში;
- და სხვ.

სასწავლო აქტივობის ტიპები: რეპერტუარის გარჩევა, რეპეტიცია, იმპროვიზაცია, ტექსტის კითხვა და ანალიზი, პრაქტიკული დაოსტატება, პერფორმანსი, შემოქმედებითი პროექტი, პრეზენტაცია, მასალების მოძიება, ჯგუფური მუშაობა ანალიზზე, თემების ინდივიდუალური გააზრება/რეფლექსია, შემსრულებლობის ინდივიდუალური/ჯგუფური გააზრება და რეფლექსია, დისკუსია/დებატები, სტუდიური მუშაობა, სხვათა სამუშაოს კონსტრუქციული კრიტიკა, *ექსპედიცია, კლასიკური, აკუსტიკური და ელექტრო-აკუსტიკური კომპოზიცია, მუსიკალური ჩანაწერების რედაქტირება* და სხვ.

5.2. შეფასების მეთოდები

უმაღლესი სამუსიკო განათლება ითვალისწინებს განმავითარებელ და განმსაზღვრელ შეფასებებს, რომელთა ეფექტიანობას მნიშვნელოვნად განაპირობებს სტუდენტის რეგულარული მონაწილეობა სასწავლო პროცესში. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია მის მიერ განსაზღვრულ სპეციფიკურ დისციპლინებში სტუდენტის დასწრების აღნუსხვა და დაშვებული გაცდენილი საათების ოპტიმალური ზღვრის დაწესება არსებით როლს ასრულებს სწავლებისა და სწავლის მოსალოდნელი შედეგების მიღწევის საქმეში. ამასთან, უსდ-ს მიერ განსაზღვრულ დისციპლინებში დათქმული რაოდენობის საკონტაქტო საათებზე დასწრების დაკმაყოფილება დასკვნით გამოცდაზე დაშვების წინაპირობაა (გამონაკლისს წარმოადგენს საქართველოს მთავრობის ან საქართველოს განათლებისა და შესაბამისი მარეგულირებელი სამინისტროს მიერ გამოცემული ბრძანებით დარეგულირებული შემთხვევები, რომლის ფარგლებშიც დაშვებული იქნება სასწავლო პროცესის სხვა ფორმით წარმართვა).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით სამუსიკო განათლების სპეციფიკის გათვალისწინებით, შეფასების მეთოდად დაშვებულ უნდა იქნეს შემოქმედებითი/საშემსრულებლო პროექტის/ნამუშევრის შეფასება - "წარმატებით ჩააბარა/ჩააბარა/ვერ ჩააბარა" სისტემის მეშვეობით. აღნიშნული ცვლილების ინიცირება საბჭომ წარუდგინა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2022 წლის 6 ივლისს, წერილით (ცენტრში რეგისტრაციის N776820), უმაღლესი სამუსიკო განათლების შესახებ, სამინისტრომ გაიზიარა წარმოდგენილი ინიციატივა (2022 წლის 21 ოქტომბერს N1335566 წერილი) და დაადგინა, რომ „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებაში შევიდეს ცვლილება, რომლის თანახმად, სახელოვნებო მიმართულებით შესაძლებელია დაშვებულ იქნეს შემოქმედებითი/საშემსრულებლო პროექტის/ნამუშევრის შეფასება - ,,წარმატებით ჩააბარა/ჩააბარა/ვერ ჩააბარა" სისტემის მეშვეობით. სადაც, წარმატებით ჩააბარა უტოლდება 91-100 ქულას, ჩააბარა უტოლდება 51-90 ქულას, ხოლო ვერ ჩააბარა - 50 ქულასა და ნაკლებს. მოცემულ შემთხვევაში, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უზრუნველყოფს აღნიშნული სისტემით მიღებული შეფასების გადაყვანას ამ ბრძანებით დადგენილ ქულობრივ სისტემაზე, რაც აისახება დიპლომის დანართში. (აღნიშნული დათქმა ამოქმედდეს შესაბამის ნორმატიულ აქტში ცვლილებების განხორციელების შემდგომ).

,,წარმატებით ჩააბარა/ჩააბარა/ვერ ჩააბარა" სისტემის მეშვეობით შესაძლებელია შეფასდეს ისეთი დისციპლინები რომლებიც უკავშირდება შემოქმედებითი საშემსრულებლო პროექტის/ნამუშევრის შეფასებას (მათ შორის საორკესტრო კლასის, კამერული კლასის, საგუნდო კლასის, სტუდიო კლასის, საოპერო მომზადების, ხალხური საშემსრულებლო და სხვა გუნდური შემსრულებლობის სპეციფიკის მქონე დისციპლინები).

განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების მეთოდები შესაძლოა იყოს ერთკომპონენტიანი ან კომბინირებული (მაგ: ზეპირი და პრაქტიკული კომპონენტების ერთობლიობა). როგორც წესი, შეფასების ფორმები შემდეგნაირია:

- ღია კონცერტი;
- დახურული კონცერტი;
- ზეპირი გამოცდა;
- წერითი გამოცდა;
- პრეზენტაცია;
- პროექტის წარდგენა;
- ურთიერთშეფასება;
- და სხვ.

VI. დამატებითი ინფორმაცია

6.1. პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები

მუსიკის დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრული საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უზრუნველყოფა შეუძლია როგორც შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე აკადემიურ პერსონალს, ასევე სათანადო კომპეტენციების და გამოცდილების მქონე მოწვეულ სპეციალისტებს.

პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალი აქტიურად უნდა მონაწილეობდეს საგანმანათლებლო პროგრამის ინიცირების, შემუშავების, დანერგვისა და განვითარების პროცესში; უნდა უზრუნველყოფდეს მუსიკისა და საშემსრულებლო ხელოვნების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

სამუსიკო საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია პროგრამის განხორციელებაში ჩართოს შესაბამისი კომპეტენციისა და კვალიფიკაციის მქონე მოწვეული პერსონალი.

6.2. მატერიალურ-ტექნიკური ბაზა

განათლების საერთაშორისო აკადემიური სტანდარტის შესაბამისად, უსდ-ში უნდა არსებობდეს სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი, რომელმაც უნდა უზრუნველყოს მუსიკის დაუფლების დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრული საგანმანათლებლო პროგრამებში გაწერილი სწავლის, შემოქმედებითი საქმიანობისა და კვლევისათვის აუცილებელი გარემოსა და პირობების შექმნა; ასევე, დეკლარირებული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევა კონკრეტული დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კერძოდ:

- პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე თეორიული, პრაქტიკული და კვლევითი კომპონენტის განსახორციელებლად საჭირო ფართი და ინვენტარი;
- სარეპეტიციო და საკონცერტო სივრცე;
- საინფორმაციო-ტექნოლოგიური აღჭურვილობა და საკომუნიკაციო სისტემები;
- პროგრამის განსახორციელებლად საჭირო მუდმივად განახლებადი ბიბლიოთეკა, საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზები;
- შესაბამისი სასწავლო ელექტრონული და მულტიმედიური მასალები;
- სხვა/დამატებითი მატერიალურ-ტექნიკური საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს როგორც ადგილობრივი და საერთაშორისო შემოქმედებითი პროექტების/კვლევების სათანადოდ განხორციელებას, ასევე სწავლა-სწავლების,

კულტურათაშორისი ცნობიერების, თავდაჯერებულობის და სხვა ტრანსფერული უნარების განვითარებას.

6.3. ინტერნაციონალიზაცია

საერთაშორისო საგანმანათლებლო, შემოქმედებით და კვლევით სივრცეში წარმატებული ინტეგრაციის, ინტერნაციონალიზაციისა და განათლების ხარისხის მუდმივი განვითარების მიზნით, მუსიკის საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების წარმატებით განსახორციელებლად სასურველია შემდეგი:

- ადგილობრივი და საერთაშორისო შეხვედრების, კონფერენციების, სემინარების, სეზონური სკოლების, ვორკშოპების, მასტერკლასების, კონცერტების. შემოქმედებითი თუ კვლევითი პროექტების, კონგრესების, სიმპოზიუმებისა და სხვა სახის ღონისძიებების დაგეგმვა/განხორციელება აღნიშნულ ღონისძიებებში სტუდენტთა აქტიური ჩართულობით;
- უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, სახელოვნებო და სამეცნიერო-კვლევით ცენტრებთან, სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციასთან, მათ შორის დიპლომატიურ კორპუსთან, საერთაშორისო გრანტების გამცემ ორგანიზაციებთან, შემოქმედებით ინდუსტრიებთან, სააგენტოებთან, ფესტივალებთან და კონკურსებთან და ა.შ. თანამშრომლობა აგრეთვე მეცენატებთან, სპონსორებთან, ბიზნეს წრეებთან და ფილანტროპებთან კოოპერირება;
- ადგილობრივ ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიულსა და/ან უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, სხვადასხვა სახელოვნებო/სამეცნიერო ორგანიზაციებთან/სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან/ მუზეუმებთან/საცავებთან და ა.შ. კავშირების ჩამოყალიბება;
- შემოქმედებითი და კვლევითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაცია;
- სტუდენტთა პრაქტიკა/სტაჟირების ორგანიზება როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო ორგანიზაციებში/ინსტიტუციებში;
- სხვადასხვა ტიპის საგრანტო რესურსების მოძიება;
- და სხვ.

VII. დარგობრივი მახასიათებლის შემმუშავებელი ჯგუფის წევრები

№	სახელი, გვარი	ორგანიზაცია/დაწესებულება	თანამდებობა
1.	ნანა შარიქაძე	სსიპ - თბილისის ვანო	ხელოვნებათმცოდნეობის

		სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია	დოქტორი, რექტორი, ასოცირებული პროფესორი
2.	ნანა ვალიშვილი	სსიპ - ანზორ ერქომაიშვილის სახელობის ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი	ხალხური მუსიკის მიმართულების ხელმძღვანელი; ეთნომუსიკოლოგი, მომღერალი, ლოტბარი, მგალობელ-რეგენტი, პედაგოგი, ექსპერტი სამუსიკო ფოლკლორის დარგში; ღირსების ორდენის კავალერი
3.	მარინა ქავთარაძე	სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია	ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი, მუსიკის ისტორიის მიმართულების ხელმძღვანელი
4.	ნინო ბაქრაძე	სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია	მუსიკის დოქტორი, კამერული ანსამბლის და კვარტეტის კათედრის ასოცირებული პროფესორი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
5.	დავით ცინცაძე	სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერისიტეტი	ასისტენტ პროფესორი
6.	მაია გაჩეჩილაძე	სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერისიტეტი	ასოცირებული პროფესორი
7.	რუსუდან ლორთქიფანიძე	სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	მოწვეული ლექტორი
8.	ტატიანა ჯავახიშვილი	სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	მოწვეული ლექტორი "საშემსრულებლო ხელოვნების" პროგრამის ხელმძღვანელი

9.	ხათუნა მანაგაძე	სსიპ- ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი	ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის მუსიკის ფაკულტეტის სრული პროფესორი, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
10.	მარინა ადამია	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	კომპოზიციის დოქტორი, სრული პროფესორი, კომპოზიტორი, ილიაუნის მუსიკის ცენტრის დირექტორი
11.	ქეთევან შენგელია	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	□უსიკის დოქტორი, პროფესორი, პიანისტი, კლავესინისტი, ძველებური მუსიკის სპეციალისტი
12.	გიორგი ქერელაშვილი	სსიპ - თბილისის სახელმწიფო კამერული ორკესტრი	სამხატვრო ხელმძღვანელი
13.	თინათინ ღვინერია	სიპ ევგენი მიქელაძის სახელობის ცენტრალური სამუსიკო სასწავლებელი	ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, დირექტორის მოადგილე, საფორტეპიანო კლასის პედაგოგი
14.	გულნარა ნიკოლაძე	სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია	სამუსიკო სემინარიის დირექტორი
15.	ქეთევან მანელიშვილი	სსიპ - ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრი	დირექტორის მოადგილე შემოქმედებით დარგში
16.	ნიკოლოზ ცერცვაძე	სსიპ - საზოგადოებრივი მაუწყებელი	„რადიო მუსიკა" FM 100.9 მთავარი პროდიუსერი
17.	ლიანა ჭონიშვილი	ა(ა)იპ საქართველოს საგუნდო საზოგადოება	ა(ა)იპ საქართველოს საგუნდო საზოგადოების დამფუძნებელი და თავმჯდომარე; თბილისის ვ.

			სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორი, აკადემიური გუნდის დირიჟორობის მიმართულების ხელმძღვანელი, სტუდენტური გუნდის ხელმძღვანელი და დირიჟორი; „საშემსრულებლო ხელოვნების“ საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის გუნდის დირიჟორობის კონცენტრაციის ხელმძღვანელი; თბილისის ევგენი მიქელაძის სახელობის ცენტრალური სამუსიკო სასწავლებლის საგუნდო-სადირიჟორო განყოფილების გამგე, პედაგოგი
18.	მარინა გუბელაძე	ქალაქ ქუთაისის კულტურულ სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანების ფილიალი, მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის ცენტრალური სამუსიკო სასწავლებელი	დირექტორის მოადგილე სასწავლო დარგში
19.	ლალი ჭელიძე	სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი	მუსიკის ფაკულტეტის დეკანი, კლავიშიან საკრავთა დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ფორტეპიანოს პედაგოგი, კონცერტმაისტერი
20.	მამუკა	ზაქარია ფალიაშვილის	სამუსიკო ხელოვნების

	სიხარულიძე	სახელობის ცენტრალური სამუსიკო სკოლა, „ნიჭიერთა ათწლედი"	დოქტორი, სასწავლო ნაწილის გამგე, საფორტეპიანო განყოფილების პედაგოგი
21.	თამარ წულუკიძე	საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო	შემოქმედებითი პროცესის ხელშეწყობის დეპარტამენტის უფროსი